2024-2025 | საქართველოს ჩემპიონატი

რეგიონული (მეორე) ლიგა

1. მონაწილეთა რაოდენობა: 19

რეგიონული ლიგის გუნდები გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით
იყოფიან – დასავლეთ და ორ აღმოსავლეთ – ჯგუფად:

დასავლეთი		აღმოსავლეთი - I ჯგუფი		აღმოსავლეთი - II ჯგუფი	
1	**ბაგრატი** ქუთაისი	1	**არმაზი** მარნეული	1	**პატარძეული** პატარძეული
2	**ფენიქსი** სამტრედია	2	**სოხუმი** თბილისი	2	**ჭადარი** თელავი
3	**რაგბის კლუბი** ზუგდიდი	3	**ბორჯომი** ბორჯომი	3	**გარდასახვა** თბილისი
4	**ჯანი** ჩოხატაური	4	**ლაშარი** თბილისი	4	**არაგველები** თბილისი
5	**აიეტი** ვანი	5	**ივერიელი** თბილისი	5	**ავჭალა** თბილისი
6	**ტორნადო** ბათუმი	6	**თსუ** თბილისი	6	**დევები** თბილისი
		7	**ქვემო ქართლი** გარდაბანი		

1.1 სათამაშო დღეები: პარასკევი, შაბათი, კვირა

1.2 გუნდში რეგისტრირებული უნდა იყოს მინიმუმ 32 (ოც და თორმეტი) მოთამაშე

1.3 სამონაწილეო გადასახადია გუნდზე 500 (ხუთასი) ლარი

1.4 მოთამაშის ბარათის გადასახადია მოთამაშეზე 15 (თხუთმეტი) ლარი

2. გათამაშების სისტემა

2.0 შეჯიბრება ტარდება სამ ეტაპად.

2.0.1 **I ეტაპი – რეგულარულ ჩემპიონატი –** გაიმართება ორ წრედ:

ჯგუფებში ცალ-ცალკე: მიმოსვლით – შინ და გარეთ

2.0.2 აღმოსავლეთის მოწინავე 2 გუნდი გამოვლინდება **II ეტაპზე – წინასწარ პლეი-ოფში**

ამ ეტაპზე მონაწილეობს აღმოსავლეთ ჯგუფების ორ-ორი (2-2) მოწინავე გუნდი – სულ ოთხი (4)

2.0.3 ლიგის ჩემპიონი გამოვლინდება **III ეტაპზე – პლეი-ოფში**

ამ ეტაპზე მონაწილეობს აღმოსავლეთ და დასავლეთ ჯგუფების ორ-ორი (2-2) მოწინავე გუნდი – სულ ოთხი (4)

2.1 **I ეტაპზე (რეგულარულ ჩემპიონატში)** ადგილები განაწილდება დაგროვილი ქულებით

2.1.1 თუ ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა **ტოლი** ქულა, დაწინაურდება ის გუნდი,

ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ორ ურთიერთ-შეხვედრაში

ბ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

გ) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

დ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ე) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ვ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ეტაპის ორ წრეში

2.2 ჩემპიონატის II ეტაპზე (მხოლოდ აღმოსავლეთ ჯგუფებისთვის) – წინასწარ პლეი-ოფში – თამაშები გაიმართება

ჯვარედინი სქემით, ორ (2) ტურად

"**მასპინძლობს**" ნიშნავს "**ირჩევს მოედანს**"

2.2.1 პირველ ტურში ორი ორ-მატჩა **ნახევარ-ფინალური დუელია**

აღმ 'I' 1 – აღმ 'II' 2

აღმ 'II' 1 – აღმ 'I' 2

2.2.1.1 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია ჯგუფის მეორე გუნდი (**აღმ 'I' 2, აღმ 'II' 2**)

გამარჯვებულები გადიან **აღმოსავლეთ ჯგუფების წინასწარ ფინალში**

2.2.1.2 დუელის გამარჯვებული გამოვლინდება ორი თამაშის ჯამური ანგარიშით

ამ მატჩებში ბონუსების დარიცხვა არ ხდება

2.2.1.3 დუელში ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი,

ა) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ამ ორ მატჩში

ბ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ამ ორ მატჩში

გ) რომელსაც უკეთესი ადგილი ეჭირა თავის ჯგუფში (**დას 1, აღმ 1**)

2.2.2 მეორე ტურში ერთი მატჩია – **აღმოსავლეთ ჯგუფების წინასწარი ფინალი** ნეიტრალურ მოედანზე

"**ნეიტრალური მოედანი**" ნიშნავს "**მოედანს ასახელებს კავშირი**"

მოგებულს III ეტაპისთვის ენიჭება **აღმ 1**, წაგებულს **აღმ 2**

2.2.2.1 **აღმოსავლეთ ჯგუფების წინასწარ ფინალში** ფრეზე ინიშნება ორი დამატებითი, 10-წუთიანი ტაიმი

2.2.2.2 თუ გამარჯვებული ამის შემდეგაც ვერ გამოვლინდა, გამარჯვებულად ცხადდება ის გუნდი:

ა) რომელმაც მეტი ლელო გაიტანა ამ მატჩში

ბ) რომელმაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) მიიღო ამ მატჩში

გ) რომელიც მოიგებს მატჩის შემდეგ დანიშნულ შუთაუთს – 5 დარტყმა მიწიდან, 22-მეტრა ხაზზე, სამი ადგილიდან

2.3 **ჩემპიონატის III ეტაპზე – პლეი-ოფში –** თამაშები გაიმართება

ჯვარედინი სქემით, ორ (2) ტურად

"**მასპინძლობს**" ნიშნავს "**ირჩევს მოედანს**"

2.3.1 პირველ ტურში ორი ორ-მატჩა **ნახევარ-ფინალური დუელია**

დას 1 – აღმ 2

აღმ 1 – დას 2

2.3.1.1 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია ჯგუფის მეორე გუნდი (**დას 2, აღმ 2**)

გამარჯვებულები გადიან **ფინალში**

2.3.1.2 დუელის გამარჯვებული გამოვლინდება ორი თამაშის ჯამური ანგარიშით

ამ მატჩებში ბონუსების დარიცხვა არ ხდება

2.3.1.3 დუელში ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი,

ა) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ამ ორ მატჩში

ბ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ამ ორ მატჩში

გ) რომელსაც უკეთესი ადგილი ეჭირა თავის ჯგუფში (**დას 1, აღმ 1**)

2.3.2 მეორე ტურში ერთი მატჩია – **ფინალი** ნეიტრალურ მოედანზე

მოგებული ხდება **რეგიონული ლიგის ჩემპიონი** (იკავებს I ადგილს), წაგებული იკავებს II ადგილს

2.3.2.1 **ფინალში** ფრეზე ინიშნება ორი დამატებითი, 10-წუთიანი ტაიმი

2.3.2.2 თუ გამარჯვებული ამის შემდეგაც ვერ გამოვლინდა, გამარჯვებულად ცხადდება ის გუნდი:

ა) რომელმაც მეტი ლელო გაიტანა ამ მატჩში

ბ) რომელმაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) მიიღო ამ მატჩში

გ) რომელიც მოიგებს მატჩის შემდეგ დანიშნულ შუთაუთს – 5 დარტყმა მიწიდან, 22-მეტრა ხაზზე, სამი ადგილიდან (დანართი #10)

2.3.3 რეგიონული ლიგის **ჩემპიონი** პირდაპირ ადის 2025-2026 სეზონის I ლიგაში და ცვლის 2024-2025 სეზონის I ლიგაში ბოლო, **X ადგილზე** გასულ გუნდს

2.3.4 რეგიონულ ლიგაში **II ადგილზე გასული** გუნდი შემდეგი, 2025-2026 სეზონისთვის I ლიგაში ასასვლელად **ორ-მატჩა დუელში** ეთამაშება 2024-2025 სეზონში I ლიგის **IX ადგილოსანს**

2.3.4.1 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია რეგიონული ლიგის გუნდი

2.3.4.2 დუელის გამარჯვებული გამოვლინდება ორი თამაშის ჯამური ანგარიშით

ამ მატჩებში ბონუსების დარიცხვა არ ხდება

2.3.4.3 დუელში ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი,

ა) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ამ ორ მატჩში

ბ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ამ ორ მატჩში

გ) რომელიც მოიგებს მატჩის შემდეგ დანიშნულ შუთაუთს – 5 დარტყმა მიწიდან, 22-მეტრა ხაზზე, სამი ადგილიდან (დანართი #10)

2.4 ყველა ახალ-შექმნილი კაცთა გუნდი შემდეგ, 2025-2026 სეზონში ასპარეზობას იწყებს რეგიონალურ ლიგაში – გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით

3. სავარაუდო ვადები

2024 წლის სექტემბერი – 2025 წლის მაისი

27/09_2024